საქართველოს განათლების სამინისტრო
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი ქართულ ენაში

Georgian Language

1997 წელი

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek-
2000/188

ქართული (მშობლიური) ენის სტანდარტი ქართული სკოლებისათვის შემუშავებულია განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ცნობილია, რომ კანონით სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი სკოლის „... საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლიობის საფუძველზე ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს“ (მუხლი 6). ამ ჩამონათვალიდან ეს სტანდარტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს. მასში შინაარსთან ერთად მოცემულია დავალებათა ნიმუშები, რათა დაინტერესებულ პირთათვის ნათელი გახდეს რა მოთხოვნებია წაყენებული მოსწავლეთა მომზადების მიმართ.

შემდგენლები: პროფესორი რ.გაბეჩავა
პროფესორი ლ. კვაჭაძე
პროფესორი ზ. ჭუმბურიძე
ნ. ცხვედიანი
ზ. ბურდილაძე

განხილულია და მოწონებული ქართული ენის სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე
(ოქმი №4, 19 ოქტომბერი, 1996 წელი)

GE
Z-11
(1197)

მშობლიური ენის პედაგოგიური ფუნქცია

განუზომელია მშობლიური ენის როლი და მნიშვნელობა პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ამიტომ სასკოლო განათლების შინაარსში ქართულ ენას ცენტრალური ადგილი და წარმმართველი როლი ენიჭება.

საგნის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა განისაზღვრება ენის სოციალური ფუნქციით, რაც ადამიანთა ურთიერთობის, სინამდვილის შეცნობის, ეროვნული და საკაცობრიო კულტურის ათვისების საფუძველს წარმოადგენს.

მოსწავლე იყენებს ენას როგორც ურთიერთობის საშუალებას, გაითავისებს ენობრივ სამყაროს და ეუფლება სოციალური ურთიერთობის ფორმებს, ენის საშუალებით ის სწავ-ლობს თაობათა გამოცდილებას, ეზიარება კაცობრიობის კულტურას. პიროვნების სოციალიზაციის პროცესი შეუძლებელია ენის გარეშე.

ენის მეშვეობით მოსწავლე შეიცნობს გარემომცველ სამყაროს. ენა ავითარებს გაგების უნარს, მეხსიერებას, აბსტრაქტულ აზროვნებას, ასე რომ, უზრუნველყოფს მოზარდის ინტელექტუალურ განვითარებას.

ენის საშუალებით ბავშვი შეიცნობს თავის თავს, ეუფლება თვითანალიზის ჩვევებს, ე. ი. ყალიბდება როგორც პიროვნება.

ცნობილია, რომ ყველა ფსიქიკური ახალწარმონაქმნი (აზროვნება, მეხსიერება, ემოცია) უყალიბდება ადამიანს გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის, საქმიანობის პროცესში. მეტყველება კაცობრიობის მოღვაწეობაში ურთიერთობის განმსაზღვრელი აუცილებელი კომპონენტია.

მაშასადამე, მოსწავლეს ჩვენ ვუქმნით აუცილებელ პირობებს მეტყველებისა და ინტელექტუალური, ემოციური და ზნეობრივი განვითარებისათვის.

სწავლების მიზნები

ქართული ენის სწავლების ძირითადი მიზანი და პრაქტიკული დანიშნულება განისაზღვრება კომუნიკაციური მიზანდასახულობით (ენის საშუალებით აზრების გადაცემა, ურთიერთობა), კომუნიკაციური კურსი კი მიზნად ისახავს მოსწავლის ზოგად და ენობრივ განვითარებას, მისი საკომუნიკაციო კომპეტენციის სრულყოფას,

მეტყველების ისეთი დონის მიღწევას, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მომავალი ცხოვრებისათვის, ადამიანის აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. კონკრეტულად ეს მიზანი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- ბავშვის სულიერი სამყაროს ფორმირება,მისი ორიენტაცია, სიტყვის მეშვეობით მსოფლმხედველობრივი წარმოდგენების განვითარება, ლექსიკური ფონდის გაფართოება;

- ისეთი ფსიქიკური მონაცემების განვითარება, როგორიცაა, აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, რეფლექსიის უნარი, თვითშეფასება. ენის აბსტრაქტული სისტემა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ენობრივი მასალის (სიტყვის, ტექსტის) დამახსოვრების გზით აღმზრდელობითი თემატიკის ტექსტების ანალიზი ან ანალოგიური თემების თხზულებათა მოფიქრება-გავრცობა;

- ენის დაუფლების გზით და კითხვის შედეგად მოსწავლის გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება;

- ზოგადსასწავლო უნარისა და ჩვევების ჩამოყალიბება (წიგნზე მუშაობა, დაკონსპექტება, საცნობარო ლიტერატურით სარგებლობა, სხვადასხვა ლექსიკონის გამოყენება);

- და ბოლოს, საკუთრივ მოსწავლის მეტყველების განვითარება, მისი ზეპირი და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების სრულყოფა (კითხვა, მოსმენა, წერა, საუბარი), კულტურული მეტყველების ჩვევის დაუფლება.

საგნის სწავლების თავისებურებანი

ენის როგორც სასწავლო საგნის არსებით თავისებურებად გვევლინება მისი არაერთგვარობა. ფართო გაგებით ენა მოიცავს: 1) სამეტყველო მოქმედებებს - საუბრისა და დამახსოვრების პროცესს, 2) ენობრივ მასალას - შედგენილ ტექსტებს, 3) ენობრივ სისტემას - ლექსიკას, გრამატიკას. რეალურად ენა არსებობს მხოლოდ სამეტყველო მოქმედების სახით, ხოლო დანარჩენი ორი მისგან განსხვავებული ასპექტებია და წარმოადგენს:

ენის მატარებელთა სამეტყველო მოქმედების პროდუქტს (ენობრივი მასალა) და ენობრივი მასალის შესწავლის შედეგს (ენობრივი სისტემა).

ყველა ზემოჩამოთვლილი ასპექტი უნდა აისახოს სტანდარტის შინაარსში, პირველ რიგში - სამეტყველო მოქმედება სწორედ იმის გამო, რომ მისი დაუფლება წარმოადგენს მოსწავლის ენობრივი ცოდნის მიზანს, ხოლო ენობრივი მასალა და ენობრივი სისტემა გვევლინება სამეტყველო მოქმედების სწავლების საფუძვლად.

ენობრივი მასალა, ე. ი. ტექსტები - ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპის, ჟანრისა და სტილის მიხედვით - სწავლებისას გამოიყენება როგორც დიდაქტიკური მასალა, რაც აუცილებელია უშუალოდ ენის დასაუფლებლად.

ენობრივი სისტემა, ანუ ცნობები ენასა და მეტყველებაზე, ხელს უწყობს დაგროვილი სამეტყველო

გამოცდილების გაცნობიერებას, ეს კი შესაძლებელს ხდის სწავლებაში კონტროლის განხორციელებას, რაც აუცილებლად საჭიროა უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბების ეტაპზე.

აქედან გამომდინარე, მშობლიური ენის სწავლების შინაარსში ასახულია შესასწავლი ობიექტი ენა და მისი გამოვლენის სხვადასხვაობა, რომელიც მთლიანად განსაზღვრულია პრაქტიკული მიზნებითა და სასკოლო განათლების შესაძლებლობებით.

სტანდარტში წარმოდგენილია საშუალო სკოლის სამივე საფეხური, ოღონდ I-ლი საფეხურის (ელემენტარული სკოლის) მხოლოდ მე-5-6 კლასები.

სწავლების შინაარსის გამჯოლი ხაზები

მშობლიური (ქართული) ენის ინვარიანტული შინაარსის სტანდარტის შედგენისას უპირატესად ჩვენთვის ამოსავალია ქართული ენა როგორც დამოუკიდებელი სასწავლო საგანი. ამასთანავე, მშობლიური ენა ემსახურება სხვა სასწავლო საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დაგროვებას, იგი ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირების ძლიერი საშუალებაა, პიროვნების სოციალიზაციისა და კაცობრიობის კულტურის ფასეულობათა გაცნობის ძირითადი საყრდენია. ამ თვალთახედვით საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ განათლების სტანდარტი მშობლიურ ენაში არ შეიძლება იყოს გაღარიბებული, მან უნდა მოიცვას აუცილებელი მასალა სწავლების კომუნიკაციური მიზნის მისაღწევად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საშუალო სკოლაში მშობლიური ენის სწავლების ძირითადი ამოცანების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- ენობრივი კომპეტენციის (ენობრივ საკითხთა წყების) ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ენის სისტემის შესახებ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს, რათა დავეუფლოთ როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების მაღალ კულტურას, მივაღწიოთ სრულ წიგნიერებას.

- კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სამეტყველო მოქმედების სხვადასხვა სახის დაუფლებას, სამეტყველო ქცევის კულტურას.

სტანდარტებში განათლების შინაარსის ორი დონეა წარმოდგენილი:

- ა) ბაზური ინვარიანტული, რომელსაც უნდა დაეყრდნონ პროგრამის შემდგენლები და ბ) მინიმალურ მოთხოვნათა, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა მომზადების დონე ქართულ ენაში.

თითოეულ დონეზე გამოიყოფა შემდეგი გამჯოლი ხაზები, რომლებიც გასდევს მშობლიური ენის მთელ კურსს:

- ენის სისტემის ანუ ენის შესახებ ცოდნის ფორმირება გაგების დონეზე და მოქმედებათა ხერხები (ენობრივი კომპეტენცია).

- სამეტყველო მოქმედებები (კომუნიკაციური კომპეტენცია).

ენობრივსა და კომუნიკაციურ კომპეტენციაში წარმოდგენილი საკითხები - ენა (გვ. 6-7) ლექსიკა და ფრაზეოლოგია (გვ. 10), მეტყველება, ტექსტი, მეტყველების სტილი, მეტყველების ტიპები, ტექსტის აგება (გვ. 10-11) - გათვალისწინებულია საშუალო სკოლის სამივე (1, 2, 3) საფეხურისათვის, ოღონდ საბაზო (მე-2) და საშუალო განათლების (მე-3) საფეხურებზე ისინი შეისწავლება ღრმად და საფუძვლიანად.

მართლწერა (ორთოგრაფია და პუნქტუაცია), როგორც წერითი სამეტყველო მოქმედების ასპექტი, უშუალოდ ერწყმის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს.

ძველი ქართული ენის საკითხები შეისწავლება ახალი ქართული ენის მასალასთან მისადაგებულად სხვადასხვა კლასში, მაგრამ, ამასთანავე, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებითა და პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ძველი ქართული ენის თავისებურებათა ღრმად სწავლება მე-9 კლასში.

სწავლების შინაარსის მინიმალური დონე

ენის სისტემა. ენობრივი კომპეტენცია

ენის როლი საზოგადოებაში

ქართული სალიტერატურო ენა როგორც ეროვნული ენის უმაღლესი ფორმა. ქართული ენა როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართული ენის ადგილი სხვა ენებს შორის. მონათესავე ენები. ქართველური ენები. ქართული ენა როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე მდიდარი და განვითარებული სალიტერატურო ენა. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები. ენა და დამწერლობა. უძველესი წერილობითი ძეგლები.

- ენის დანიშნულება-ფუნქციები.
- მეტყველება და აზროვნება.
- მეტყველების კულტურა და გრამატიკული ნორმა.
- ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები.
- ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგების პრინციპები.

- ქართული ენის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი.
- ქართული ენის გამოჩენილი მკვლევარნი საქართველოში და საზღვარგარეთ.
- ცნობილ მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებანი ქართული ენის შესახებ.
- ქართული ენის ლექსიკონები, მათი მოხმარების წესები.

V-VI კლასები

ფონეტიკა და გრაფიკა

ფონეტიკის შესწავლის საგანი. ბგერის რაობა. საწარმოთქმო ორგანოები. ბგერის წარმოქმნა. ბგერა როგორც სიტყვათა და სიტყვის ფორმათა განმასხვავებელი. ბგერათა რაოდენობა ძველსა და ახალ ქართულში ხმოვნები და თანხმოვნები. თანხმოვანთა ჯგუფები.

მარცვალი. ღია და დახურული მარცვალი. მარცვალი და სიტყვა. სიტყვის დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები.

ბგერა და ასო. ანბანი (მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული). ძველი დამწერლობის ნიმუშები. ხმარებიდან გასული ასოები. ასოთა სახელები და სიტყვათა ანბანის რიგზე გაწყობის წესი. ანბანის პრაქტიკული დანიშნულება.

მორფოლოგია

მორფოლოგიის საგანი. სრულმნიშვნელობიანი (დამოუკიდებელი) და დამხმარე მეტყველების ნაწილები. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები.

მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა დაყოფის კრიტერიუმები. სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე მეტყველების ნაწილები. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი ნაწილები.

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა (ზმნის რაობა; სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები; ინვერსია; ზმნისწინი; დრო; ასპექტი; კილო; მწკრივები და სერიები; გარდამავლობა) და მათი ძირითადი მორფოლოგიური თავისებურება.

სიტყვის შედგენილობა. აფიქსები ადგილის მიხედვით: პრეფიქსი, სუფიქსი და პრეფიქს-სუფიქსი.

აფიქსები დანიშნულების მიხედვით: მიმოსახრელი (ფორმის მცვლელი) და წარმომქმნელი (ახალი სიტყვის მაწარმოებელი). ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით.

მარტივი და რთული სიტყვები. სიტყვათა შემოკლებით დაწერა და სრულად წაკითხვა.

მორფოლოგიური ნორმები როგორც სწორი მეტყველებისა და ორთოგრაფიის წარმატებით დაუფლების საფუძველი.

VII-IX კლასები

მეტყველების ნაწილები: ზმნა (ზმნის ფუძე, თემა და თემის ნიშნები; ძირი; გვარი; ქცევა; კონტაქტი; თავისებური ზმნები), ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული და მათი ძირითადი მორფოლოგიური თავისებურება. შორისდებული როგორც განცალკევებით მდგომი მეტყველების ნაწილი.

სახელზმნა და მისი თავისებურება. სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში.

მორფოლოგიური ნორმები როგორც სწორი მეტყველებისა და ორთოგრაფიის წარმატებით დაუფლების საფუძველი.

სინტაქსი

სინტაქსის საგანი. სინტაქსური ერთეულები: წინადადება; სინტაქსური წყვილი, წინადადების წევრი, მათი ურთიერთმიმართება. სინტაქსურ წყვილთა რაოდენობა წინადადებაში.

წყვილის წევრთა სინტაქსური დამოკიდებულება.

წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით. სასვენი ნიშნების დასმის წესები მათ ბოლოს.

წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები.

წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით.

მარტივ და შერწყმულ წინადადებათა რაობა და სახეები. სასვენი ნიშნები შერწყმულ წინადადებაში.

განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათა რაობა და სახეები. სასვენი ნიშნები განკერძოებულ

სიტყვებთან და გამოთქმებთან.

რთული წინადადების რაობა, ტიპები. რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა ნაწილების დაკავშირების საშუალებანი.

ნარევი სახის რთული წინადადება.

სასვენი ნიშნები რთულ წინადადებაში.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან.

დიალოგი.

სასვენი ნიშნები დიალოგში და ციტატების დამოწმებისას.

ძველი ქართული ენის ზოგიერთი თავისებურება

ქართული ენის უძველესი ძეგლები (წარწერები, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები).

ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა. ხმარებიდან გასული ასოები.

ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული). მრგლოვანი ანბანი და ასოთა შესატყვისი ბგერები.

რიცხვების გამოხატვა ასოებით. ბრუნვები და მათი ნიშნები ძველ ქართულში. -ებ და -ნ-თ ბოლოსართიანი მრავლობითის ფორმები ძველ ქართულში და მათი სინტაქსური ძალა. განსხვავება საზოგადო და ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებას შორის. სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები მხოლობითსა და მრავლობითში. მეორე პირის წართქმითი ბრძანებითის ფორმათა გადმონაშთი ახალ ქართულში. მარტივი და რთული ზმნისწინები, მათი ფუნქციები. ხოლმეობითის ფორმები.

შემასმენლის ქვემდებარესთან შეთანხმება - შეუთანხმებლობა რიცხვში. ადამიანის საკუთარი სახელებით გადმოცემული ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების გარჩევა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან. შემასმენლის შეთანხმება ნარიან მრავლობითში დასმულ პირდაპირ დამატებასთან, განსაზღვრების ადგილი და მისი შეთანხმება საზღვრულ სახელთან ბრუნვასა და რიცხვში. -ა ნაწილაკიანი კითხვითი წინადადება.

ლექსიკა და ფრაზეოლოგია

სიტყვა როგორც მნიშვნელობის მქონე ბგერათა ნაერთი. ერთმნიშვნელობიანი და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები, თავაზიანი მიმართვისა და ახლობლებთან საუბრის ფორმები.

ლექსიკის გამდიდრების ძირითადი წყარო.

სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. აფორიზმები. საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკა. პროფესიული ლექსიკა. დიალექტიზმები. არქაიზმები. ნეოლოგიზმები. ნასესხები სიტყვები. ბარბარიზმები.

ლექსიკური სინონიმები და მათი მნიშვნელობა მეტყველების სიზუსტისა და ხატოვანებისათვის.

ხატოვანი სიტყვა-თქმები, ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები და მათი დანიშნულება ენაში.

ქართული ენის ლექსიკონები - სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, „ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თ. სახოკიას „ხატოვანი სიტყვა-თქმები“, ალ. ნეიმანის „სინონიმთა ლექსიკონი“, გ. შატბერაშვილის „ჭაშნიკი“ და სხვ.

სამეტყველო მოქმედება, კომუნიკაციური კომპეტენცია

მეტყველება

ენობრივი საშუალებები გამოიყენება ურთიერთობის მიზნით, რისთვისაც აუცილებელია მოსაუბრე და მეტყველების მოტივი.

მეტყველება ნაირფეროვანია: ფორმის მიხედვით - ზეპირი და წერითი, დანიშნულების მიხედვით - დიალოგური და მონოლოგური.

მეტყველების კულტურა, ქართული სალიტერატურო ენის დაუფლების ორი საფეხური: სწორი, დახვეწილი და ზუსტი მეტყველება (კომუნიკაციურად მიზანმიმართული).

ტექსტი

ტექსტი და მისი ძირითადი ნიშნები: თემა და ტექსტის დედააზრი. აზრის თანამიმდევრულად განვითარება ტექსტში, ტექსტის დაყოფა აბზაცებად, აბზაცის დანიშნულება, ტექსტის მარტივი და რთული გეგმის შედგენა.

მეტყველების სტილი

მეტყველების სტილის ნაირგვარობა: სასაუბრო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული, მათი გამოყენების სფერო, დანიშნულება და ენობრივი თავისებურება.

მეტყველების ტიპები

თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

ტექსტის აგება

ტექსტის ტიპობრივი ფრაგმენტების აგება:

- საგნების, ბუნების სურათების აღწერა; ადამიანის გარეგნობის აღწერა;
- მხატვრული და ინფორმაციული ხასიათის თხრობა;
- მსჯელობა. ნაწარმოების მოქმედ პირთა შესახებ მსჯელობა და თავისი აზრის დასაბუთება, ფაქტებით ახსნა, ნათქვამის გავრცობა.

ქართულ ენაში განათლების შინაარსის მინიმალური დონიდან X-XII კლასებისათვის ცალკე გამოვყოფთ ენობრივ საკითხთა წყებას (ენობრივ კომპეტენციას):

- ენის რაობა; ენის წარმოშობა და განვითარება; ენის ფუნქციები; დედაენა; ენა და საზოგადოება; ენათა კლასიფიკაცია; ქართველური ენები და დიალექტები; ქართული დამწერლობა; ზეპირი და წერითი მეტყველების ურთიერთმიმართება; მეტყველების სიზუსტე; მეტყველების ლოგიკურობა; მეტყველების ემოციურობა და გამომსახველობა; სიტყვის

- აგებულება; სიტყვის დაბადება; სიტყვაწარმოებასთან, ზმნასთან, ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; სინონიმები; ანტონიმები, ომონიმები; სინონიმთა და ომონიმთა ხმარების სიზუსტე; პარონიმები; ტერმინოლოგიის სიზუსტე; ხატოვანი თქმები; ქართული ენის ლექსიკონები და მათი მოხმარების წესები; ქართული ენის მკვლევარნი.

- ენათმეცნიერული და პოეტური სტილისტიკის საგანი; პოეტური მეტყველების ხერხები და საშუალებანი; ინვერსია; რიტორიკული შეკითხვა; შედარება; გამეორება; ტავტოლოგია; მორფოლოგიური სინონიმები, მათი დანიშნულება და გამოყენების ხერხები; სინტაქსური სინონიმიკა; სიტყვათა წყობა მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებაში; განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ადგილი წინადადებაში; დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების ენობრივი საშუალებები; აბზაცი და მისი ფუნქცია; ფუნქციური სტილის დანიშნულება და გამოყენება მეტყველებაში; ტექსტის ლინგვისტური ანალიზი; ტექსტში ციტატების ჩართვის ხერხები;

- მწერლის ენა და სტილი;

- ძველი ქართული ხელნაწერები;

- ქართული ტერმინოლოგია;

- ეტიმოლოგიური ძიებანი; ქართული ტოპონიმიკა; ონომასტიკა.

- ენის სიწმინდის საკითხები.

- პუნქტუაცია.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი მოთხოვნები

ენის სისტემა. ენობრივი კომპეტენცია

ფონეტიკა და გრამატიკა

მოსწავლემ უნდა იცოდეს ანბანი, ასოთა თანამიმდევრობა, სახელწოდებანი. დაშალოს წინადადება სიტყვებად, სიტყვები მარცვლებად და ბგერებად. სათანადო მაგალითების დამოწმებით დაადასტუროს ბგერის სიტყვათგანმასხვავებელი და ფორმათგანმასხვავებელი მნიშვნელობა. შეძლოს ხმარებიდან გასული ასოებისა და მრგლოვანის და ნუსხურის წაკითხვა-გარჩევა, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების გარჩევა; დაეუფლოს სიტყვათა ანბანის რიგზე გაწყობის

წესს. სწორად დამარცვლოს სიტყვა სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად. მოძებნოს სიტყვები ლექსიკონსა და კატალოგში.

თავისუფლად შეძლოს ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენება.

მორფოლოგია

მოსწავლემ იცოდეს მეტყველების ნაწილთა განსაზღვრებანი, მათი არსებითი ნიშნები, ფორმაცვალების ძირითადი წესები და თავისებურებანი, გაარჩიოს სახელი შედგენილობისა და გრამატიკული ფორმის მიხედვით, იპოვოს ტექსტში ძირეული და წარმოქმნილი სახელები; აღნიშნოს, რა საშუალებით არის სიტყვა ნაწარმოები და როგორია მისი ლექსიკური მნიშვნელობა.

მოსწავლემ იცოდეს ქართული ორთოგრაფიის პრინციპები; მართლწერის ნორმები როგორც სწორი და ზუსტი წერითი მეტყველების აუცილებელი პირობა.

სწორად და სტილურად მიზანმიმართულად გამოიყენოს სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები ზეპირსა და წერით მეტყველებაში.

სინტაქსი

მოსწავლემ იცოდეს შესწავლილი სინტაქსური ერთეულების არსებითი ნიშნები. გაარკვიოს სინტაქსურ წყვილთა ურთიერთმიმართება. ამოიცნოს წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით და წარმოთქვას იგი სათანადო ინტონაციით. გაარჩიოს წინადადების მთავარი და არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წევრები, შეძლოს მარტივ წინადადებათა სახეების ამოცნობა, ერთგვარ წევრთა რაობის განსაზღვრა, ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებათა დასახელება, გაიცნობიეროს და საჭიროებისამებრ გამოიყენოს წინადადების ერთგვაროვანი წევრები, შეძლოს სხვადასხვა სახის მარტივ და შერწყმულ წინადადებათა შედგენა, იპოვოს ტექსტში სხვადასხვა სახის მარტივი და შერწყმული წინადადებანი.

მოსწავლე დაეუფლოს რთული წინადადების შედგენის საშუალებებსა და ტიპებს, აზრობრივ მიმართებას რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის. დამოკიდებული წინადადების მთავართან შეერთების საშუალებებს, დამოკიდებული წინადადების სახეებს. სათანადო წესები დაიცვას რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლისას.

მონახოს სხვადასხვა ტიპის რთული წინადადება ტექსტში. სწორად განსაზღვროს კავშირიან და უკავშირო რთული წინადადების ნაწილთა აზრობრივი მიმართება. მორგებულად გამოიყენოს წინადადებები ზეპირსა და წერით მეტყველებაში. შეძლოს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მიზანმიმართულად გამოყენება.

მოსწავლემ სასვენი ნიშნები წესისამებრ დასვას სხვადასხვა შინაარსის წინადადების ბოლოს.

იპოვოს ტექსტში მარტივი (სრული და უსრული), შერწყმული და განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათა შემცველი წინადადებანი და დაასაბუთოს ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარების სისწორე. დასვას ტირე შემასმენლისა თუ მეშველი ზმნის გამოტოვებისას, განზოგადებულსიტყვიან წინადადებაში, დანართთან პირდაპირი ნათქვამის შემდეგ მოქცეული ავტორის სიტყვების წინ. სწორად იხმაროს ძახილის ნიშანი მიმართვისა და შორისდებულის

შემდეგ. დასვას ორწერტილი განმაზოგადებელ სიტყვიან წინადადებაში, როცა განმაზოგადებელი სიტყვა უსწრებს ერთგვარ წევრებს. ჩასვას ჩართული წინადადება ფრჩხილებში.

იპოვოს ტექსტში რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები და იმსჯელოს სასვენი ნიშნების გამოყენების სისწორეზე.

სწორად დასვას სასვენი ნიშნები დიალოგში.

ძველი ქართული ენის ზოგიერთი თავისებურება

მოსწავლემ შეძლოს ენის უძველესი ძეგლების (მათ შორის ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების) წაკითხვა; ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა განასხვაოს ახალი ქართულისაგან. იცოდეს მრგლოვანი და ნუსხური ანბანი და მათი შესატყვისი ბგერები, ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები. გაიცნობიეროს სახელთა ბრუნების თავისებურებანი ძველ ქართულში. ასევე - ხანმეტობისა და ბრძანებითის ფორმათა გადმონაშთი ახალ ქართულში, სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები მხოლობითსა და მრავლობითში, შემასმენლისა და ქვემდებარის შეთანხმება-შეუთანხმებლობა რიცხვში. განსაზღვრების ადგილი და შეთანხმება საზღვრულ სახელთან ბრუნვასა და რიცხვში.

ლექსიკა და ფრაზეოლოგია

მოსწავლემ განმარტოს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, იმსჯელოს წინადადებაში მრავალმნიშვნელობიან სიტყვათა ფუნქციაზე, განსაზღვროს კონტექსტში მათი დანიშნულება. იცოდეს ლექსიკის გამდიდრების წყაროები, სინონიმები, ანტონიმები და ომონიმები მორგებულად გამოიყენოს მეტყველებაში. იცოდეს მწერალთა შემოქმედებაში მათი გამოყენების მნიშვნელობა, სიტყვის პირდაპირი და გატანითი მნიშვნელობით გამოყენება. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა - სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. შეარჩიოს სიტყვები თავაზიანი მიმართვისა და ახლობლებთან საუბრის დროს.

იპოვოს ტექსტში პროფესიული ტერმინები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები.

შეძლოს ხატოვანი სიტყვა-თქმების, ფრაზეოლოგიზმებისა და ლექსიკური სინონიმების გამოყენება მეტყველების სიზუსტისა და ხატოვანებისათვის.

იცოდეს ქართული ენის მთავარი ლექსიკონები, მათი გამოყენების წესები და დანიშნულება.

სამეტყველო მოქმედება

კომუნიკაციური კომპეტენცია

- მოსწავლემ შეძლოს სწრაფად, სწორად და გამომეტყველებით წაიკითხოს უცნობი მხატვრული, პუბლიცისტური და სასწავლო-მეცნიერული ტექსტები.
- აღიქვას ზეპირი და წერითი მეტყველება, გაიგოს გამონათქვამის აზრი, ამოიცნოს ქვეტექსტი, გაარჩიოს ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია.
- გააანალიზოს ტექსტი, განსაზღვროს მისი (ტექსტის) მეტყველების სტილი და ტიპი. გამოყოს ძირითადი აზრი, იმსჯელოს ტექსტში წინადადებათა დაკავშირების გზებსა და საშუალებებზე, მიანიშნოს ენობრივი საშუალებები, რაც შესასწავლი მეტყველების სტილისა და ტიპებისათვის არის დამახასიათებელი.
- შეძლოს ზეპირად და წერილობით წაკითხული, მოსმენილი ტექსტის მოკლედ გადმოცემა.
- გადმოსცეს ტექსტის შინაარსი სამეტყველო სიტუაციის გათვალისწინებით. დააზუსტოს თემა, განსაზღვროს ჩანაფიქრისა თუ გამონათქვამის გეგმა, აზრის გადმოცემისას დაიცვას ლოგიკური თანამიმდევრობა, სალიტერატურო ენის ნორმები, მორგებულად გამოიყენოს ენობრივი საშუალებები.
- დაეუფლოს კულტურული მეტყველების ჩვევებს.

საშუალო განათლების (მე-3) საფეხურის (X-XII კლ.) კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს ენის რაობა, ენის ფუნქციები და მათი დანიშნულება; ერკვეოდეს ქართველური ენების ურთიერთ-მიმართების საკითხებში; კარგად იყოს დაუფლებული ქართული ენის ძირითად ლექსიკურ მარაგს და სალიტერატურო ენის ნორმებს; დაიცვას ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები; ერკვეოდეს სინტაქსურ ერთეულთა დანიშნულებაში და იყენებდეს მათ ზუსტად; შეეძლოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება ზეპირად თუ წერილობით დახვეწილი ფორმით; შეეძლოს სხვისი აზრის გადმოცემა და ციტირება, ტექსტის დაყოფა აბზაცებად; გაცნობიერებული ჰქონდეს ის სტილისტური ხერხები და საშუალებები, რომელთა მეოხებითაც ხდება ემოციური ზემოქმედება მკითხველსა თუ მსმენელზე; იმსჯელოს მწერლის ენასა და სტილზე; გააანალიზოს ტექსტი ლინგვისტურად; ჰქონდეს წარმოდგენა ქართული ენის ისტორიაზე, მის დიალექტებსა და მონათესავე ენებზე; საჭიროებისამებრ გამოიყენოს ქართული ლექსიკონები; იცოდეს ქართული დამწერლობა, ქართული ხელნაწერები, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი; ერკვეოდეს ქართული ეტიმოლოგიის, ტოპონიმიკისა და ონომასტიკის მნიშვნელოვან საკითხებში.

ქართულ ენაში მოსწავლეთა მომზადების დონის განსაზღვრა

განმარტებითი ბარათი

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების შედეგების ობიექტური დონის განსაზღვრა აუცილებელია. შედეგების შემოწმება მხოლოდ მაშინ არის სანდო და ობიექტური, როცა წარმოდგენილია დონის განმსაზღვრელი სტანდარტები, ე. ი. დაუფლების ნორმები. ეს კი საშუალებას მოგვცემს, ერთმანეთს შევადაროთ იმ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა წარმატება, რომლებიც განსხვავებული პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლობენ.

განათლების სახელმწიფო სტანდარტების დონის დანიშნულებაა, გამოავლინოს ენისა და მეტყველების სფეროში უნარ-ჩვევების ის წრე, რომელიც ნიშანდობლივია მოსწავლეთა (V-XII კლ.) კომუნიკაციური კომპეტენციისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სწავლა გაგრძელდეს განუწყვეტელი განათლების სახით ან თვითგანათლების გზით, რაც განსაზღვრულია პიროვნების ცხოვრებისეული მისწრაფებითა თუ პროფესიული განათლების მოთხოვნით.

ქართულ (მშობლიურ) ენას, როგორც სასწავლო დისციპლინას, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სამეტყველო მოქმედების დაუფლება გვევლინება ენობრივი განათლების მიზნად, ხოლო ენობრივი მასალა და ენობრივი სისტემა - სამეტყველო მოქმედების სწავლების საშუალებად და მის თეორიულ საფუძვლად. მშობლიური ენა განეკუთვნება შემეცნებითი მოქმედების სფეროს.

მშობლიური ენის სწავლების შედეგების ობიექტური შეფასების საშუალებას გვაძლევს, პირველ რიგში, ენობრივი კომპეტენცია, მართლწერა (ორთოგრაფია და პუნქტუაცია) როგორც წერითი სამეტყველო მოქმედების დაუფლების მთავარი და რთული ასპექტი და ქართული ენის შესწავლის აუცილებელი კომპონენტი და კომუნიკაციური კომპეტენცია, ენობრივი საშუალებების გამოყენება მეტყველებაში (მეტყველების განსხვავებული სტილისა და ტიპების გათვალისწინებით).

საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად მოსწავლეთა მომზადების გამოსავლენად აუცილებელია დავალებათა სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, შევამოწმოთ: ქართულ ენაში მომზადების რა დონეს მიაღწიეს მოსწავლეებმა, რა ხასიათის სასწავლო მოქმედებები სრულდება მოსწავლეთა მიერ. აქვე უნდა გამოვყოთ: 1) უნარ-ჩვევების სისტემა (ენობრივი კანონზომიერებანი, განსაზღვრული ფაქტობრივი მასალა და სხვ.) 2) სასწავლო მოქმედების სახეები - სხვადასხვა სახის ენობრივი ანალიზის ჩატარება (გრამატიკული, სიტყვაწარმოებითი და სხვ.) ან მეტყველებითი ანალიზი (შესწავლილი მოვლენების განზოგადება).

მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების ტრადიციულ ფორმად ითვლება თხზულება. მისი მეშვეობით მოწმდება ე. წ. „ბუნებრივი წიგნიერება", თხზულების შეფასებისას არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ამა თუ იმ შეცდომის (გრამატიკულის, ორთოგრაფიულისა თუ პუნქტუაციურის) ჩამოთვლით, არამედ გავითვალისწინოთ თხზულების შინაარსობრივი და

მეტყველებითი ასპექტები, თუმცა მართლწერის თვალთახედვით ნამუშევრის ანალიზისას ორთოგრამებისა და პუნქტოგრამების გამოყოფა და დაჯგუფება ხელს შეგვიწყობს მართლწერის კომპეტენციის დონის სწორად განსაზღვრაში.

ქართულ ენაში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების სხვადასხვა საშუალება არსებობს: შემოთავაზებულ წინადადებაში სიტყვების ჩაწერა, წინადადებებისა და ტექსტების ფრაგმენტების ანალიზი, კითხვებზე პასუხის გაცემა, შესწავლილი მასალის (ცალკეული თემის, თემის ნაწილის ან მთლიანად კურსის) კონტროლი შემაჯამებელი სახით, შემოქმედებითი ხასიათის დავალებანი და სხვ.

ზემოჩამოთვლილი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენება ენობრივი ფორმირების, მართლწერისა და მეტყველების კომპეტენციის შესამოწმებლად არ არის საკმარისი, ამიტომ ყველაზე მოხერხებულ საშუალებად ითვლება ტექსტი როგორც ქართულ ენაში მოსწავლეთა უნარ-ჩვევათა შემოწმებისა და ცოდნის დონის განმსაზღვრელი.

მოსწავლეთა მომზადების დონის განსაზღვრისას საფეხურები ცალ-ცალკე არა გვაქვს გამოყოფილი, რადგან სტანდარტების ინვარიანტულ დონეში იგი მკაფიოდაა გამიჯნული (იხ. გვ. 6, 7, 10, 11).

ქვემოთ წარმოდგენილია მოსწავლეთა დონის განმსაზღვრელ სამუშაოთა ნუსხის სამი ასპექტი:
1) მაგალითები ენაში მოსწავლეთა მომზადების დონის შესამოწმებლად (ენობრივი კომპეტენცია),
2) მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმება მართლწერაში (ორთოგრაფია და პუნქტუაცია),
3) მოსწავლეთა მეტყველების შემოწმება (კომუნიკაციური კომპეტენცია).

დავალებათა ნიმუშები მოსწავლეთა მომზადების დონის შესამოწმებლად ენაში (ენობრივი კომპეტენცია)

მაგალითები მორფოლოგიიდან.

უფროსკლასელებმა უნდა იცოდნენ მეტყველების ნაწილთა სახელწოდება და მათი არსებითი ნიშნები: განსაზღვრონ ცალკეული სიტყვის მორფოლოგიური თავისებურება, სწორად და მიზანმიმართულად გამოიყენონ სხვადასხვა მეტყველების ნაწილი.

დავალება 1. გამოიცანით, ჩამოთვლილ წინადადებებში რომელია მიმღეობა:

1. დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა (ი. გოგებაშვილი);

2. შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხავი ხარ მკვდრისაო (ხალხური);

3. არწივი ვნახე დაჭრილი (ვაჟა);

4. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის, მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა (ილია);

დავალება 2. ჩამოთვლილ წინადადებებში მოძებნეთ კავშირი.

1. თუნდაც მოკვდეს ქვეყნისათვის, ეგ სიკვდილი სიცოცხლეა (ილია);

2. მამამ ცალკე მიუალერსა თებროს, მაგრამ ის მაინც სლუკუნებდა (ვაჟა);

3. სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი (ხალხური).

დავალება 3. მოძებნეთ ნაწილაკები.

1. აბა, კაციცა ისა ყოფილა (ილია);

2. ვიღაცამ ტყიდამ ასკუპა ცხენი (ილია);

3. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა (ილია).

დავალება 4. მიუთითეთ, რომელი სიტყვებია მოცემული არასწორად:

1. მოვა ამხანაგი და ჭადრაკს ვითამაშებდით;

2. გაზაფხულზე დღე მატულობს და ღამე კლებულობდა;

3. თამაზი, ამ საქმეს როცა ჩაუფიქრდა, სახლში წასვლა გადაწყვიტა.

დავალება 5. მოძებნეთ ზმნებში პირველი სუბიექტური პირის ნიშნები.

ნ ი მ უ შ ი:

კიდევაც წამიკითხა იმ დალოცვილის შვილმა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა თავი შემაყვარა. ისე ჩემ სიცოცხლეში არა მინატრია რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე: მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ის ისე თამამად კითხულობდა, მე კი ისე უხეიროდ დავეხეტებოდი. ბოლოს, გულის წადილს რომ ვეღარ გავუძელ, მივვარდი ზედ გლახუკას და დავეღრიჯე (ილია).

მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმება მართლწერაში (ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში)

ქართული ენის შესწავლის შედეგად სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნების ნუსხა ავალებს ძირითადი სკოლის კურსდამთავრებულს ორთოგრაფიულ მზაობას: 1) გაარჩიოს ორთოგრაფიულად სწორი და უსწორო ფორმები; 2) ერთმანეთისაგან განასხვაოს მიმოსახრელი და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები, შეძლოს სწორად მათი მოხმარება; 3) იცოდეს სიტყვების ერთად, ცალ-ცალკე და დეფისით წერის წესები; 4) შეეძლოს ორთოგრაფიული ლექსიკონით სარგებლობა.

ასე რომ, კურსდამთავრებულებს ეძლევათ დავალებანი ორთოგრაფიაში საკონტროლოდ:

- გამოიცნონ ორთოგრამები;
- სწორად წერონ სიტყვა ნასწავლი ორთოგრამების შესაბამისად; გაარჩიონ ყველა მეტყველების ნაწილის ორთოგრამები.

პუნქტუაციის მიხედვით საგანმანათლებლო სტანდარტი მოსწავლეებისაგან მოითხოვს, რომ მათ შეეძლოთ:

- წინადადებაში აზრობრივი და სინტაქსური დამოკიდებულებების გაანალიზება;
- სასვენი ნიშნების გააზრებულად შერჩევა (წინადადების დახასიათება აზრობრივი, ინტონაციური, გრამატიკული თვალთახედვით);
- სასვენი ნიშნების უშეცდომოდ დასმა წინადადების ბოლოს, ერთგვაროვან წევრებთან, განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებთან;
- სასვენი ნიშნების სწორად დასმა რთულ წინადადებაში (კავშირიანსა და უკავშიროში);
- დიალოგის სწორად გაფორმება და პირდაპირი ნათქვამის გამოყენება მეტყველებაში;

პუნქტუაციური უნარი გაიყოფა სახეებად:

- აღიქვან პუნქტოგრამები (მოძებნონ ისინი წინადადებაში, ტექსტში);
- დაასაბუთონ სასვენი ნიშნების მოხმარების სისწორე ნორმებზე დაყრდნობით და სწორად გამოიყენონ წერისას;
- შეამჩნიონ პუნქტუაციური შეცდომები და გაასწორონ.

ქვემოთ ვიძლევით დავალების სახეებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ცოდნის შესამოწმებლად (შემაჯამებელი საკონტროლო მუშაობისათვის).

დავალება 1. მრავალწერტილის ადგილას ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. რამდენიმე წლის შემდეგ . . . (ლომი) იპოვა თავისი ბოკვერი.

2. უმცროსმა . . . (უფროსი) უნდა გაუგოს.

3. თეთრწვერა მოხუცების . . . (სახე - მრ. რიცხვში) ეკლესიის ფრესკებს ჰგვანდნენ.

4. (ნოდარი) . . . წიგნი იყიდა.

5. ობოლი ბიჭი (შვილი) . . . აიყვანა.

დავალება 2. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერეთ სწორად:

1. ერთი დროშკა მოადგა ჩვენი (დუქანის) კარებსა.

2. მატარებლის კივილი (ტყე) აქოჩრილ გზებში იკარგებოდა.

3. (ქვეყანა) სატკივარი ყველას უნდა გვტკიოდეს.

დავალება 3. იმსჯელეთ, სიტყვის ძირში რა ცვლილებები მოხდა:

1. მინდვრის, ნივრის, დათვური, აქტიური, მეეზოვე ან: ბრეცს - ბრიცავს, ბზეკს - ბზიკავს, გლეჯს - გლიჯავს და ა.შ.

დავალება 4. დასვით გამოტოვებული სასვენი ნიშნები, იმსჯელეთ მათი გამოყენების მართებულობაზე.

1. თოვლი ატირდა ლანქერად ადიდდა ჩვენი წყლებია ბალღებს უხარის დარბიან პაპას გაუთბა ძვლებია (რ. ერისთავი).

2. მან კი თავლაფდასხმულმა პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე (მ. ჯავახიშვილი).

3. ქეთო შეკრთა დაფრთხა და შველივით განზე გახტა (ი. გოგებაშვილი).

4. აივანზე რომ გავიდა არისტო პლატონი იქ არ დახვდა (დ. კლდიაშვილი).

5. იმღერეთ ოღონდ ნუ აბღავლდებით (მ. ჯავახიშვილი).

6. ამ სახლის მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა (ილია).

დავალება 5. იმსჯელეთ, რა შემთხვევაში იწერება ორი ერთნაირი ხმოვანი ან თანხმოვანი.

აკადემიის, ორღობეები, ჩავვარდი, დამმალეთ, გგვანან, გურამმა, ინგლისს, ბანოვანნი, კალათთან.

დავალება 6. დაწერეთ ზმნიზედები სწორად და იმსჯელეთ მათი ფორმის მართებულობაზე.

1. გარე . . . თოვდა.

2. წინა . . . აქ ცხოვრობდნენ თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზები.

3. სიმდიდრეც ჰქონდა, ძღვენიც ბლომა . . . მოსდიოდა.

დავალება 7. ჩამოთვლილ წინადადებათაგან რომელია მარტივი, შერწყმული, რთული. რა ნიშნით განასხვავეთ ისინი ერთმანეთისაგან. დასვით სასვენი ნიშნები.

1. გიორგის კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ილია);

2. შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუოდნენ (თ. რაზიკაშვილი);

3. ან ციმბირში წადით ან არსენა მომგვარეთ (მ. ჯავახიშვილი);

4. მე ჩონგური მისთვის მინდა რომ სიმართლეს მსახურებდეს (აკაკი);

5. ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა (ილია);

6. ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლეოდა (ილია);

7. შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა (ილია);

8. თოვლმა რომ გადაიღო ბევრს ხანს არ გაუვლია ყინვამ მოუჭირა (ილია);

9. დედაბრის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული ქვეშაგებად ჩავარდნილი დამდნარი მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი (ილია);

დავალება 8. მიუთითეთ წინადადებები, რომლებშიც დაშვებულია შეცდომა სასვენი ნიშნების ხმარებისას.

1. ავი ძაღლი, არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო (ანდაზა);

2. კატომ ინსტინქტურად მიიხედა, იქით საითაც გიგლამ ხელი გაიშვირა (შ. არაგვისპირელი);

3. წყალი მოშხუის ღარშია, გამალებული შხრიალებს, ქაფი დუღს, სწინწკლავს ბორბალი, ციბრუტივითა ტრიალებს (რ. ერისთავი);

4. როცა იმერეთის აჯანყება დასრულდა სევასტიმ თავისი ძმა ქვიშხეთში წამოიყვანა და ზაალის ნათესავს ალექსანდრე სუმბათაშვილს შეეხიზნა რომელიც დღეს მარაბდაში ამოსულიყო (მ. ჯავახიშვილი).

შემაჯამებელი საკონტროლო კარნახი ტარდება V-IX კლასებში.

ფეხშიშველი თოვლზე

ორი თვე მოგზაურობდნენ ბავშვები კარელიაში და, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ღამეს ათევდნენ არა სოფლებში, არამედ ტყეში ან მინდვრად. დღიურში იყო ჩანაწერები ცივი ღამეების, გამჭვალავი ქარის, თავმომაბეზრებელი გაბმული წვიმების შესახებ.

მაგრამ დღიურის არც ერთ ფურცელზე არ ეწერა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „გაცივება“ ან „ხველა“.

- ნუთუ არც ერთი თქვენთაგანი არ გაცივებულა? - ეკითხებოდნენ მამაც მოგზაურებს.

- რასაკვირველია, არა, - პასუხობდნენ ისინი, - ჩვენ ნაწრთობი ხალხი ვართ. ისინი კი ვინც სუფთა ჰაერს, ცივ წყალსა და მცხუნვარე მზეს მიეჩვია, არ ცივდებიან.

დავალება. გააგრძელეთ ტექსტი და დაასაბუთეთ, როგორი უნარი აქვს ადამიანის ორგანიზმს, თანდათან შეეგუოს პირობების შეცვლას. მოიტანეთ კონკრეტული მაგალითები.

ნიჭიერი მწერალი

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვის დაერქმის ღირსეულად ეს სახელი?

რა ნიშნები ეტყობა ნიჭსა?

მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა, და, უკეთესად რომ ვსთქვათ, - მწერლის სულია, ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები რომ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის.

ამ განსაკუთრებულ დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილად საცნობლად?

ეს გახლავთ „ენა“, რომელშიც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება, ფესვები მწერლის ენისა, სტილისა იქ არის ჩაწმახნული, მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული, მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას (ვაჟა-ფშაველა).

დავალება. თავისუფალი კარნახი შემოქმედებითი ხასიათისაა. მოსწავლეებმა უნდა გადმოსცენ შინაარსი ტექსტთან მიახლოებით, გამოიყენონ სინტაქსური კონსტრუქციები სწორად და ლექსიკურად შეავსონ ტექსტი.
მოსწავლეთა ნამუშევრები გაანალიზდება მართლწერის (ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის) თვალსაზრისით.

თავისუფალი კარნახი ტარდება მე-8, მე-9 კლასებში.

წარმოვადგენთ მართლწერის ანალიზის სქემას.

ორთოგრაფია

№	საკარნახო ტექსტში წარმოდგენილი ორთოგრამები	მოსწავლეთა ნამუშევარში შეცდომით წარმოდგენილი ორთოგრამები (ნიმუშები)	შეცდომათა რაოდენობა
1.	ძირეული სიტყვების მართლწერა		
2.	ნაწარმოებ სახელთა მართლწერა		
3.	ცალკეულ მეტყველების ნაწილთა მართლწერა ა) სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერა ბ) თანდებულიან სახელთა მართლწერა გ) რთული სიტყვების მართლწერა		
4.	ზმნასთან დაკავშირებული მართლწერა ა) ზმნისწინების მართლწერა ბ) ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა მართლწერა გ) გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა მართლწერა.		

პუნქტუაცია

	საკარნახო ტექსტში წარმოდგენილი პუნქტოგრამები	მოსწავლეთა თხზულებაში შეცდომით წარმოდგენილი პუნქტოგრამები	შეცდომათა რაოდენობა
1.	სასვენი ნიშნები მარტივ წინადადებაში		
2.	მძიმე ერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებაში		
3.	ტირე და ორწერტილი შერწყმულ წინადადებაში		
4.	სასვენი ნიშნები განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებთან: ა) განკერძოებული განსაზღვრება ბ) განკერძოებული გარემოება გ) მიმართვა დ) დანართი ე) ჩართული ვ) ნაწილაკი ზ) შორისდებული		
5.	სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში		
6.	სასვენი ნიშნები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში		
7.	სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან		
8.	სხვა შეცდომები (ზედმეტი მძიმეები)		

მოსწავლეთა მეტყველების დონის განსაზღვრა

კომუნიკაციური კომპეტენცია

უფროსკლასელ მოსწავლეთა მეტყველების დონეში იგულისხმება ძირითადი მეტყველებისმცოდნეობითი საკითხები (ტექსტი, სტილი და მეტყველების ტიპები, წინადადებათა დაკავშირების ხერხები და საშუალებები), რომელთა ანალიზისას წინა პლანზე წამოიწევს სამეტყველო მოქმედებები.

მოსწავლეთა მომზადების დონის განსასაზღვრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექსტები: მათში ენობრივი საშუალებების მოხმარების მიხედვით გაირკვევა მეტყველებისმცოდნეობითი საკითხების დაუფლების ხარისხი.

- ტექსტის ანალიზი, რომელიც გულისხმობს ვრცელ წერილობით და ზეპირ პასუხს.
- დავალება, რითაც შემოწმდება მეტყველების ძირითადი ნიშნები.

სანიმუშო ტიპობრივი დავალებები

განსაზღვრეთ მეტყველების სტილი. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ:

- დაახასიათეთ სიტუაცია, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს გამონათქვამები. მიუთითეთ სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი გამონათქვამები.

ნიმუში:

დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში: იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზედ (ი. გოგებაშვილი, „ბურჯი ეროვნებისა“).

გადმოეცით, როგორაა აგებული ტექსტი: რა ხერხები და საშუალებებია გამოყენებული ტექსტში წინადადებათა შესაერთებლად, დაახასიათეთ წინადადების სტრუქტურა, დაუფიქრდით, რა ეფექტს მიაღწია ავტორმა ტექსტის ასე აგებით.

ნიმუში:

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზედ მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად

მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი.

(ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“)

მიუთითეთ, ტექსტის რომელი ნიშნებია განსაზღვრული არასწორად.

ნ ი მ უ შ ი:

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გალმა სერებზედ, მალე ჩვენს გარშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტლაშა-ტლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთაბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ვეღარ ბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას.

(ვაჟა-ფშაველა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“)

ა) მხატვრული მეტყველების სტილი

ბ) მეტყველების ტიპი - აღწერა

გ) ზმნების დრო - კილოთა ერთიანობა

დ) წინადადებათა ერთნაირი აგება

მიუთითეთ, ტექსტის რა ნიშნებია განსაზღვრული არასწორად.

ნ ი მ უ შ ი:

-

გასიბრძენებულო! რათა ხარ სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელი, ყველას გამკილავი, გამკენწლავი? ნეტავ როდის ჩაგაბარეთ თავი ან ვინ დაგადგინა ჩვენს მწყემსად, რომ გიყვარს ხალხის გარჯულვა? შენის შიშით კაცი ქალს ვერ დალაპარაკებია, ქალი-კაცსა, ვაჟკაცს ღვინო ვერ დაულევია, ქალს ვერ გაუცინია, ბავშვს ვერ უცელქნია! ფულიღა გვაკლია შენს სახელზე მოჭრილი!

(გ. ლეონიძე, „ციციკორე“)

ა) მეტყველების სტილი - სასაუბრო

ბ) მეტყველების ტიპი - მსჯელობა

გ) დიალოგური მეტყველება

დ) მეტყველების ამოცანა - ზეგავლენის მოხდენა

მიუთითეთ, ტექსტის რა ნიშნებია განსაზღვრული არასწორად.

ნ ი მ უ შ ი:

ფიცხელა შეახტა მაღლა სათაგურის ჭერს, მიაწყდ-მოაწყდა იქით - აქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში, უსვამდა თათს, ღრღნიდა კბილით, - ამაო იყო ყოველივე ცდა. თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფლი დაასხა.

(ვაჟა-ფშაველა, „სათაგური“)

მოსწავლის სამეტყველო მოქმედებების უნარის დონის განსაზღვრისათვის რეკომენდებულია:

- კითხვები ტექსტთან მიმართებით, რითაც მოწმდება ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან შინაარსის გადმოცემის ადეკვატურობა და მოსწავლის ვრცელი ზეპირი და წერილობითი პასუხი.
- ტექსტური ხასიათის დავალება, რაც ორიენტაციას იძლევა, მოსწავლეებმა სწორად შეარჩიონ პასუხი მოცემული აბზაცებიდან.

ტიპობრივი დავალების ნიმუშები

დავალება, რითაც მოწმდება წაკითხული ტექსტის გაგება.

ნ ი მ უ შ ი:

ილიას უბრალო სახლმა გამაოცა. ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მქონდა ნახული და მეგონა, ილიას სახლი ყველას უნდა სჯობდეს-მეთქი. რამდენიმე წლის შემდეგ ილიამ ჩემს თვალწინ ახალი სახლი აიშენა. სამაგიეროდ მშვენიერი იყო მისი ბაღი, ზვარი, აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის მაგიდები, თავკარვიანი კაკალი, მუხებისა და ცაცხვების რიგი, რომელნიც იმ კარმიდამოს ეხლაც ამშვენებენ. ყველაზე მეტად მარანმა გამაკვირვა. მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძველი შენობა აქამდის არ მინახავს.

ხალხი თანდათან მატულობს. გლეხები გუნდ-გუნდად მოდიან. მებადურებს არაგვიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჯგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირეს შველი ჩამოუტანია, ორმა მეცხვარემ ბატკნები მორეკა, ჩრდილში ორპირად მეტად გრძელი სუფრა იშლება. მე არა მჯეროდა, რომ ამოდენა ხალხის დაპურება ერთ რიგზე მოხერხებულიყო, მაგრამ თადარიგი სწორედ დაუჭერიათ, ყველაფერი უანგარიშიათ. კაკლის ქვეშ ინტელიგენცია და ილიას ნათესავები დაეტივნენ. სუფრის ბოლოს მოწაფენი დავსხედით, იმავე მწკრივში და ქვემოთ შორს საბძლამდის ლურჯ სუფრებს გლეხობა შემოუსხდა, საჭმელ-სასმელი თავსაყრელია.

ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა. ვულგარულ „შენი ჭირიმე“ და რატილის კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩივნა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მხოლოდ ლადო აღნიაშვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი ხმა

დისონანსად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვეუბნებოდით. სამაგიეროდ, ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბედა და გააჩუმა. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“ ილიას გაგიჟებით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეხვია და ბანი მიაყოლა. მეც იქ გავჩნდი და ერთი მოკლე დიალოგი კარგად გავიგონე.

- ილიავ, გაჩუმდი. - უთხრა გლეხმა.

- ვერ გავჩუმდები, - მიუგო ილიამ, - ეგ სიმღერა ძლიერ მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო.

- ილიავ, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გავჩუმდებით.

- კარგი, ისევ მე გავჩუმდები, - უთხრა ილიამ და ის სიმღერა ხანგამოშვებით სამ-ოთხჯერ ათქმევინა.

ღვინო თავისას იქმს. სიმღერა რამდენიმე ალაგს ისმის. აქა-იქ ლეკური და დავლური გაჩნდა. გლეხები ფხიზლებიც რომ ყოფილიყვნენ, ერთ საათსაც ვერ მოითმენდნენ, რომ ჭიდაობა არ გაემართათ. ილიას ჭიდაობაც ძლიერ უყვარდა.

ილიაობა ეროვნული დღეობა იყო და ამოდენა ხალხი იმიტომ იყრიდა იქ თავს. მოწაფეებსაც ამგვარად გვქონდა შესმენილი.

ილიას მამულში მოწაფენი რამოდენიმეჯერ ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ.

ერთი მოზრდილი ფარდული ამ იარაღებით იყო სავსე. ილია დაჟინებით ლამობდა თავისი თეორია საქმედ ექცია და საქართველოში ევროპული მეურნეობის პატარა კუთხე გაეჩინა. მაგრამ ამან მაშინდელ პირობებში ნაყოფი ვერ გამოიღო. მანქანები ხშირად ემტვრეოდა, იქაური ხელოსნები ვერ ამთელებდნენ, ხოლო სულ უბრალო რამისათვის მანქანების თრევა ქალაქში და უკანვე ატანა მეტად ძვირად უჯდებოდა. ამის გამო ვიღაც სტუმარი კაკლის ქვეშ წყაროსთან ცხარედ ეკამათებოდა ილიას და ფანტაზიორს უწოდებდა. ბოლოს ილიამ მოუჭრა:

-კაცო გაიგე: მარტო წაგება-მოგებისათვის ხომ არა ვცხოვრობთ. ამგვარ მანქანებს ადრე თუ გვიან გლეხებიც შეეჩვევიან, შეიძენენ და ჩვენს ქვეყანას წინ წასწევენ.

ა) წარმოდგენილი ნაწყვეტის გეგმიდან შეარჩიეთ ის, რომელიც შეესაბამება ტექსტს.

1) თადარიგიანი მეურნე

2) ხელხვავიანი სტუმრები და გულუხვი მასპინძელი

3) ხალხური სიმღერის მოტრფიალე და უხეირო მომღერალი

4) ჭიდაობის მოყვარული

5) სამეურნეო საქმიანობის მოამაგე

6) წინდახედული და შორსმჭვრეტელი „ფანტაზიორი“

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

ბ) მოცემული ნაწყვეტებიდან აირჩიეთ ის, რომელიც შეიძლება მოემსახუროს ტექსტის დასათაურებას.

1) ილიას სახლ-კარი საგურამოში

2) ილიაობა-საერთო-სახალხო დღესასწაული

3) მწერალი, მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე

გ) ამოიწერეთ ფრაზები, რომლებიც ილიას პიროვნებას ახასიათებს. მაგალითად, სტუმართმოყვარეობა:

1) ორპირად მეტად გრძელი სუფრა იშლებოდა. მე არ მჯეროდა, რომ ამოდენა ხალხის დაპურება ერთ რიგზე მოხერხებულიყო, მაგრამ თადარიგი სწორად დაუჭერიათ.

2) ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს.

3) ილიაობა ეროვნული დღეობა იყო და ამოდენა ხალხი ამიტომ იყრიდა იქ თავს.

4) ილიას მამულში მოწაფენი რამდენჯერმე ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ.

დ) უპასუხეთ კითხვებზე:

1) ჯავახიშვილის აზრით, რაში გამოიხატებოდა ილიაობის ეროვნულობის ნიშან-თვისება?

2) რამდენად შეესაბამება ილიას ხასიათს, ცხოვრების წესსა და პრინციპებს გამოთქმა: „მარტო წაგება-მოგებისათვის ხომ არა ვცხოვრობთ“?

3) რომელი ადგილები ადასტურებენ, რომ ილიას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ყველა სოციალური წრის წარმომადგენელთან?

4) სად ჩანს ხალხის სიყვარული ილიასადმი?

სამეტყველო უნარის ფორმირების დონის განსაზღვრისათვის ტრადიციულად გამოიყენება თხრობა და თხზულება.

თხზულება გამოდგება სამეტყველო უნარის განსაზღვრის კომპლექსურ საშუალებად, რადგან შეიძლება შემოწმდეს სამეტყველო უნარ-ჩვევები (ინფორმაცია სმენით აღვიქვათ, დავიმახსოვროთ და გავიგოთ, ავითვისოთ ხატოვანი სიტყვა - თქმანი, დავიმახსოვროთ ტექსტის ფრაგმენტები, გადმოვცეთ ტექსტის შინაარსი დაწვრილებით), ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ჩვევები.

ნიმუშისათვის მოგვყავს ტექსტი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მეათე-მეთორმეტე კლასებში.

დავალება ტექსტთან დაკავშირებით

1. შეარჩიეთ სათაური, რომელიც გამოხატავს ტექსტის ძირითად აზრს.

2. დაწერეთ თხზულება ტექსტთან მიახლოებით. შეეცადეთ, გადმოსცეთ ძირითადი აზრი, დაიცავით კომპოზიცია და ტექსტის სტრუქტურა, მეტყველების სტილი, გამოიყენეთ სტილისათვის დამახასიათებელი და ავტორისეული ენობრივი საშუალებები.

ტექსტის ნიმუში:

ბორგი, უსმინარი, აღმართი კაცი იყო ხვედია, ვის არ ახსოვს ჩვენს სოფელში გულღორღიანი, ღვარძლა, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი!

შესახედავადაც ძნელი იყო: დამშხალული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, კუზიანი, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი.

მოთმინებიდან გამოსული ძმა ეტყოდა - კაცი ხარ, ქვაკაცი თუ ხერკინა შე გულდაფშვნეტილო?!

- რაო, დაგებეჟა ენის ხოცი განა? - მრისხანედ შეუძახებდა ხვედია ცოლს თუ ორ სიტყვას გადააცდენდა საწყალი დედაკაცი.

- ღვიძლი ჩამილპო ამ კაცის გულგამომხრავმა სიტყვებმა! თოკივით წამიჭერს ხოლმე ყელში! როგორც კალთაზე ნაკვერჩხალი დაგეცეს და მაშინვე არ გადააგდე, თორემ დაიწვები, ისე ჩემი ქმრის სიტყვებია, - ჩიოდა უბანში ნინორე. არავინ უყვარდა ხვედიას, მითუმეტეს ჩიტები, სძულდა ნიბლია - ბეღურები. არც მათთვის იშურებდა გულის დამბოლავ სიტყვებს.

- რა ამბავი გაქვთ. სხვაგან ალაგი ვერ მონახეთ? დილაობით შესძახოდა თავის ვენახში მოჟივჟივე ჩიტებს და გაბეზრებული, გაშმაგებული მოჰგლეჯდა სარს, შესტყორცნიდა ჩიტებით დახუნძლულ ხეს და გარეკავდა ისე, რომ წამში ის არემარე უდაბნოსავით დამუნჯდებოდა.

ჩიტებზე მეტად ბავშვები სძულდა, როცა დედაჩემს რძე გაუშრა და მე უძუძურად დავრჩი ცოტა ხანს, მაშინ ხვედიას ცოლი ნინორე მაწოვებდა ძუძუს ხვედიას შიშით, ფარულად.

როცა ხვედია შინ იყო ხოლმე, უწოვნელად მისტუმრებდნენ.

უმცროს ძმას ჩიტალას, საცოლედ შეღერებულს, რომელიც კარგ მომღერლად ითვლებოდა, ჩონგურის დაკვრასა და სიმღერას უშლიდა:

- რას ჩაუშტერდი ჩონგურს, ცოლი გინდა განა? ჯერ სარჩოს მოეკიდე, რა დროს ჩონგური და სიყვარულია? თუ არა ქალი ხომ არა ხარ, რომ მღერი?

ხვედია ღამურა კაცი იყო, როცა ღამე გადაიწონებოდა, მაშინ ადგებოდა, შემოივლიდა თავის პატარა კარ-მიდამოს, ეზო-ბოსტანს, კალოს, ვენახს, სადაც იგი თვითმპყრობელადა გრძნობდა თავს.

- ეს ჩემია! - თან დაარტყამდა ფეხს მიწას, ჩაჰბღუოდა: ჩემი მამულია! ჩემი საკუთარია! - და მკერდით ზედ გადაეფარებოდა.

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

ხან უსაფრთხებოდა უხილავ მტერსა თუ ქურდს, რომელიც მისი წარმოდგენით, უთუოდ იქვე ბუჩქებთან თუ ღობესთან იყო მიმალული, მისი საკუთრების წასართმევად.

ხვედია მზად იყო გამვლელ მგზავრებისათვისაც კი ჩხუბი აეტეხა, იმდენად ეჭვიანი მესაკუთრე იყო! სწყინდა, ბრაზობდა თუ სხვა ვინმე გაივლიდა მის მიწაზე. მოსვენება არ იყო გაუთავებელი ჩხუბისა და კივილისაგან.

- ერთი ხელის დადება მიჯნა გადაგიწევია, შე ქრისტეს ფეხის მომჭმელო! - შეუყვირებდა უდანაშაულო მეზობელს და დატრიალდებოდა კეტი, კომბალი, მარგილი, ცელი თუ ცული! მისი ბოროტებისა და ყაყანისაგან მოსვენება არ იყო.

ხარბმა ხვედიამ სიკვდილიც კი ადრე მიისაკუთრა. საკვირველი იყო, ცოლი დასტიროდა ქმარს და გულში ამოისუნთქა! რა დასამალია, ცოლმაც, უბანმაც, და მთელმა სოფელმა, - მოვისვენეთო!

ნინორე დასტიროდა: - აჰა, ეგეც შენი მიწა - სამი ადლი მიწა! სულ მაგას ნატრულობდი, რათ გინდოდა შე უბედურო, რომ ყარყაში არ მოგწყინდა მაგ შავი მიწისთვის!ხვედია კი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, თითქოს დიდად კმაყოფილი, რომ ახლა საკუთარი მიწა დაეყრებოდა გულმკერდზე . . . თითქოს ბედნიერებისათვის მიეგნო და მზად იყო ორივე ხელით ჩაებღაუჭა ის სამი ადლი მიწა, რომელიც ახლა საკუთრებად ერგო და მის სამუდამო მფლობელობაში გადადიოდა, მაგრამ სახის შენაცრულ იერზე ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ეშინოდა და ფრთხილობდა ვინმე უხილავი არ შემეცილოსო! ალბათ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გუნება დამყუდროებული.

ჩიტები კი მღეროდნენ, ჟღიოდნენ . . . ცა იყო ლურჯი . . . ულურჯესი.

(გ. ლეონიძე, „ხვედია“)

თხზულების ანალიზის სქემა

- თხზულების მოცულობა (საშუალო მოცულობის ტექსტი ფასდება დამაკმაყოფილებელი ნიშნით, თუ შესაფასებელი ტექსტიდან დაახლოებით 70% ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი).
- თემა გაშლილია (სრულად, ნაწილობრივ).
- ძირითადი აზრი გადმოცემულია.
- ტექსტი გაფორმებულია - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.
- მეტყველების სტილი და ჟანრი დაცულია.
- ტექსტის ტიპოლოგიური სტრუქტურა დაცულია (მთლიანად ან ნაწილობრივ), ტექსტის ძირითადი ნაწილი შედგება აღწერისაგან, მასში შესულია სამი ფრაგმენტი: აღწერა გარემომცველი სამყაროსი, საგნის აღწერა და მცირეოდენი მსჯელობა.

სტილისა და ჟანრისათვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებები დაცულია (მთლიანად ან ნაწილობრივ).

შეცდომების რაოდენობა და ხასიათი:

ა) ფაქტობრივი

ბ) ლოგიკური

გ) მეტყველებითი

დ) გრამატიკული

ე) ორთოგრაფიული

ვ) პუნქტუაციური

თხზულება თავისუფალ თემაზე ან სკოლაში შესწავლილ ლიტერატურულ მასალაზე

თხზულების მეშვეობით განისაზღვრება სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირების დონე: დაწერონ თემა, დაუქვემდებარონ გამონათქვამი ძირითად აზრს, გამოყონ მასში მიკროთემა, შეადგინონ თხზულების გეგმა, დაადგინონ თხზულების სტილი და ჟანრი; დაიცვან: ლოგიკური თანამიმდევრობა მასალის გადმოცემისას, სალიტერატურო ენის ნორმები, მეტყველების სიზუსტე და გამომსახველობა.

ტიპობრივ თავისუფალ თემებთან ერთად შეიძლება თხზულება აიგოს ტიპობრივი სიტუაციების მიხედვით და კონკრეტული თემა დაასათაუროს მასწავლებელმა ან მოსწავლემ, მაგალითად:

- „მე მიყვარს ბუნება“
- „ჩემი ბავშვობის წლები“
- „ჩემი ენა, ქართული“
- „მე ვსაუბრობ ცხოვრებაზე“ და ა. შ.